2008 წლის აპრილი

ახალი ძველი მაჟორიტარული სისტემა

2008 წლის 28 იანვარს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და მათ მიერ დასახელებულმა პრეზიდენტობის კანდიდატებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი მემორანდუმი, რომელიც იმავდროულად იყო მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძისადმი, აგრეთვე მსოფლიოს მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. მემორანდუმი მოიცავდა ჩვიდმეტ საკითხს, რომელთა მოგვარება, ოპოზიციის აზრით, აუცილებელი იყო ქვეყანაში წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისათვის. მემორანდუმის ჩვიდმეტი პუნქტიდან ერთ-ერთი გულისხმობდა არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის (როდესაც პირველ ადგილზე გასული პარტია ყველა მანდატს ეუფლებოდა) შეცვლას რეგიონული მრავალმანდატიანი სისტემით, რომლითაც მანდატები პროპორციულად განაწილდებოდა.

14 თებერვალს მმართველმა პარტიამ გამოაქვეყნა წინადადებების სია, რომელიც ოპოზიციის ჩვიდმეტივე მოთხოვნას მოიცავდა. დოკუმენტი იწყებოდა შემდეგი ფრაზით: „აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ხელისუფლების მხრიდან კომპრომისს ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დასმულ ყველა საკვანძო საკითხზე“. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის რეფორმას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეიცვლება რეგიონული პროპორციული სისტემით ეუთო-ს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ამ მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი უკვე ინიცირებულია და შესაბამისი ცვლილებები კონსენსუსის შემთხვევაში განხორციელდება მარტის ბოლომდე“.

მიუხედავად ამ საკითხში მმართველი პარტიის დათმობისა, ოპოზიციამ განაგრძო საპროტესტო აქციების გამართვა და მოითხოვა, რომ ხელისუფლებას მემორანდუმში ჩამოთვლილი სხვა საკითხებიც გადაეჭრა. ამავე დროს, 4 მარტს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილება, რომლის თანახმად, 150 პარლამენტის წევრიდან 75 აირჩეოდა მაჟორიტარულ ოლქებში, ხოლო 75 – პარტიული სიებით. ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. 21 მარტს პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის შედეგად მაჟორიტარულმა სისტემამ ტრანსფორმაცია განიცადა და დადგინდა, რომ 75 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი თითო პარლამენტის წევრს აირჩევს (სწორედ ეს სისტემა მოქმედებდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან). გამარჯვებულად გამოცხადდება ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას დააგროვებს და იმავდროულად ხმების 30%-ს ან მეტს მიიღებს.

საკუთარი მემორანდუმიდან გადახვევა მმართველმა პარტიამ იმით ახსნა, რომ მას არ ჰქონდა ხმების საკმარისი რაოდენობა კონსტიტუციის შესაცვლელად და, ამდენად, კენჭისყრისას ოპოზიციონერი ან მაჟორიტარი პარლამენტის წევრების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ვინაიდან ოპოზიციამ პროცესს ბოიკოტი გამოუცხადა, მმართველ პარტიას მაჟორიტარების გული უნდა მოეგო, ისინი კი ერთმანდატიანი ოლქების სისტემას ამჯობინებდნენ, რომლის მეშვეობითაც თავად იქნენ არჩეულნი პარლამენტში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2005 წელს იმავე მაჟორიტარებმა მხარი დაუჭირეს ერთმანდატიანი სისტემის შეცვლას მრავალმანდატიანი სისტემით, როდესაც პირველ ადგილზე გასული პარტია მოცემული ოლქის ყველა მანდატს ეუფლება.

პროცესის მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილების დამტკიცებას ერთთვიანი საჯარო განხილვა უნდა უძღოდეს, რაც კანონპროექტის გამოქვეყნებას და სხვადასხვა სახის საჯარო დისკუსიას გულისხმობს. მმართველი პარტიის მტკიცებით, იმ დროისათვის დისკუსია ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რადგანაც საკონსტიტუციო ცვლილება 150 საპარლამენტო მანდატის განაწილების თაობაზე 13 ნოემბერს იქნა ინიციირებული. თუმცა ცვლილების ეს პროექტი მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ 100 პარლამენტის წევრი პროპორციული სისტემით, ხოლო 50 – მაჟორიტარულ ოლქებში აირჩეოდა. ამასთანავე, ცვლილების პროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ მაჟორიტარული მანდატების განაწილების უფრო სამართლიანი მეთოდი რეგიონული პროპორციული სისტემა იქნებოდა.

გარდა იმისა, რომ საჯარო დისკუსია არ გამართულა, კანონპროექტის შემუშავებაში არ მონაწილეობდნენ სამთავრობო, არასამთავრობო და დამოუკიდებელი ექსპერტები. სისტემას „75–75“ კენჭი ინიციირების დღესვე ეყარა.

ძველი/ახალი სისტემის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტები

2005 წელს მმართველმა პარტიამ მხარი დაუჭირა საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს, რომელთა თანახმად გაუქმდა 85 ერთმანდატიანი ოლქი (მათ შორის, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მდებარე 10 ოლქი) და მათ ნაცვლად შეიქმნა 50 მრავალმანდატიანი ოლქი. მმართველი პარტია ამტკიცებდა, რომ ძველი სისტემა არაეფექტიანი იყო საქართველოს რეალობაში. ახლა მმართველი პარტია ცდილობს გაამართლოს 75 მაჟორიტარული ოლქის აღდგენა და ხაზგასმით აღნიშნავს ცალკეული ოლქების ინტერესების გამომხატველი პარლამენტის წევრების არსებობის აუცილებლობას. თუმცა საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისაგან არ განასხვავებს პარლამენტის მაჟორიტარ და პარტიული სიით არჩეულ წევრებს. არჩევის მეთოდის მიუხედავად, თითოეული კანონმდებელი აირჩევა, როგორც მთელი ქვეყნის და არა კონკრეტული ოლქის წარმომადგენელი.

ადგილობრივი ხელისუფლების როლი

სინამდვილეში ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისთვის პასუხისმგებელი, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფლებაა და არა მაჟორიტარი პარლამენტის წევრი. მთავრობა აღნიშნავს, რომ საოლქო წარმომადგენლობის გაუქმება არაპოპულარული ნაბიჯი იქნებოდა, რადგანაც ეს პარლამენტის წევრებს ადგილობრივი მოსახლეობისგან დააშორებდა. სამწუხაროდ დისტანცირების პრობლემა არ იქნა განხილული 2006 წელს განხორციელებული ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის დროს, როდესაც სოფლისა და დაბის საკრებულოები გაუქმდა.

ბიუჯეტი

მაჟორიტართა რაიონული ბიუროები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან ფინანსდება და არა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ვინაიდან თანხების განაწილების დადგენილი მეთოდოლოგია არ არსებობს, გადაწყვეტილება სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე მიიღება და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონკრეტული პარლამენტის წევრის ურთიერთობაზე ან მის პარტიულ კუთვნილებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბოლნისისა და გურჯაანის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით თანაბარია. ბოლნისის მაჟორიტარმა (მმართველი პარტიის წევრმა) 2004 წელს 30000 ლარი მიიღო, ხოლო გურჯაანის მაჟორიტარმა (ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა) – იმავე წელს ამ თანხის მეოთხედზე ოდნავ მეტი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ახმეტისა (41 600 მცხოვრები) და სიღნაღის (43 600 მცხოვრები) მაჟორიტარები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პარლამენტის წევრი ხელისუფლების მხარდამჭერია,

პირველის ბიურომ 2006 წელს 9943 ლარი მიიღო, ხოლო მეორისამ – მხოლოდ ამ თანხის დაახლოებით ერთი მეცხრედი (1100 ლარი).

ადგილობრივი საკითხების მოგვარების უნარი

ოპოზიციონერი მაჟორიტარების თქმით, მათი შესაძლებლობები ადგილობრივი საკითხების მოგვარების თვალსაზრისით შეზღუდულია მმართველ პარტიასთან კონფრონტაციული დამოკიდებულების გამო. მათი მტკიცებით, ადგილობრივი ხელისუფლება მმართველი პარტიის მაჟორიტარების მიერ წამოჭრილ საკითხებს უფრო აგვარებს, ვიდრე ოპოზიციის წარმომადგენელი მაჟორიტარების მიერ დასმულ პრობლემებს.

ერთი ხმის ფასი

საარჩევნო ოლქები საქართველოში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ იქმნება. ამის შედეგად ოლქები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომის მხრივ, რაც საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ლენტეხის ოლქში 6115 ამომრჩეველია, ხოლო ზუგდიდის ოლქში – 126 106 (თითქმის ოცჯერ მეტი), თუმცა არსებული სისტემით ორივე ოლქს თითო მაჟორიტარი ჰყავს.

იმ სისტემაზე უკეთესი, რომელშიც გამარჯვებული ყველა მანდატს იღებს

მიუხედავად ზემოხსენებული პრობლემებისა, ამჟამინდელი სისტემა მაინც უკეთესია, ვიდრე სისტემა, რომელშიც გამარჯვებული პარტია მოცემული მრავალმანდატიანი ოლქის ყველა მანდატს იღებს. ასეთი სისტემა 2005 წელს იქნა შემოღებული და როგორც ოპოზიციის, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი კრიტიკა დაიმსახურა. თუმცა, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველომ დაკარგა შესაძლებლობა, გაეუმჯობესებინა თავისი საარჩევნო სისტემა და საერთაშორისო სტანდარტებისთვის მიეახლოვებინა.

ვინაიდან სისტემის შემდგომი ცვლილება დაგეგმილი არ არის, მნიშვნელოვანია მაჟორიტარების შესახებ არსებული წარმოდგენების შეცვლა (ახლა ისინი აღიქმებიან, როგორც მდიდარი და ადგილობრივ დონეზე გავლენის მქონე პირები, რომლებმაც ფაქტობრივად იყიდეს ადგილები პარლამენტში და რომლებსაც დიდად არ აინტერესებთ თავიანთი ამომრჩევლების პრობლემები). აუცილებელია აგრეთვე კანონმდებლობის დახვეწა, რათა მაჟორიტარებს ქვეყნის ყველა ოლქში ერთნაირი სამუშაო პირობები ჰქონდეთ.